ეროვნული ბიბლიოთეკა




№ 17 — 1915. მიიღება ხელმოწერა 1915 „თეატრი და ცხოვრება"-ზე 26 აპრილი



მწერალ-მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე
**ნიკოლოზ იოსების ძე ლომოური (1852—1915)**
გარდაიცვალა 17 აპრილს. დაკრძალავენ დღეს ქ. გორის სამების ეკლესიაში.

ახალხან გაიხსნა

# აფთიაქი

პროვიზორის **ა. ს. ახვლედიანისა**
(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექ-ტის კუთხე), (5—4)

---

## სახალხო სახლი

**სამშაბათს, 28 აპრილს,** თბილისის ქართ. დრ. დასის მსახ. ამხ-ბის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ცნობილი პიესა სენკევიჩისა

# ვიდრეხვალ...

დრამა 5 მოქ., თარგ. აკაკისა

**მონაწილეობს მთელი დასი.**

ადგ. ფასი 1 მ. 50 კ-დან 10 კ-დე

დასაწყისი საღ. $7^1/_2$ საათზე.

რეჟ. **მ. ქორელი**

შემდეგი წარმოდგენა: **,,ჰამლეტი“**

---

ზუბალაშვილის სახ. სახალხო სახლში

სახ. სახ. არს. ქართ. წარ. მმარ. წრის მიერ **ორშაბათს, 27 აპრ.** წარმოდგენილი იქნება

I

## მაღაროს უფროსი მუშა

დრამა 1 მოქ. თარგ: გოცირიძესი

II

# ცარტიუფი
## ანუ მუზმუზელა

კომედია 5 მოქ. მოლიერისა

**მონაწილეობენ:** ქ-ნი ანკარა, ბარათაშვილი, პიერეტა, ციმაკურიძე; ბ.ბ. ანაშვილი, გოცირიძე, მეტრეველი ზარდალიშვილი, ივერელი, ნინიძე, კ. ხახანაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 ს.

ადგილების ფასი 4 კ.—50 კ.-მდე

**შემდეგი წარმოდგენა 2 მაისს**

რეჟისორი კ. **შათირიშვილი**

---


**წელიწადი მესამე**

## მიიღება ხელმოწერა 1915 წ.

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერა-ტურო, სახელოვნო და საზოგადოებ-რივ ჟურნალ

**წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან.**

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

**იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით**

**„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფურ-დასურ მიმართულების გარეშეა**

ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. **ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., თითო ნომერი **10** კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს **2** მ., მარტის გასვლამდე **2** მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

**ელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—**7** ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„განთიად“**-ში, **„ცოდნას“** წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—**ალ. ძაძამიასთან, ქუთაისში** თ. მთავრიშვილის წიგნთ სავაჭროში **ს. ეპიტაშვილთან**

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** 1 ევ. ორიგებით, 2, გვ. კორპუსის პწკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4-ზე—15 კ. ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Iосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**




№ 17

წელიწადი მესამე

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 17 კვირა 26 აპრილი 1915 წ.

## 26 აპრილი

**კიდევ ერთი ძვირფასი სამარე**

გორი დღეიდან უფრო მეტი ყურადღებისა და ყოველი ქართველისათვის ძვირფას ადგილად შეიქნება...

დღეს სამარეს მიაბარებენ ჩვენის ბედკრული სამშობლოს ერთ ღირსეულ შვილთაგანის, ნიკო ლომოურის ცხედარს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე აზრიანად და ნაყოფიერად განვლო...

მესამოცე წლების მოღვაწეთა მაღალ იდეალებით აღფრთოვანებული, ხალხის სამსახურით გატაცებული და მამულის უებრო მოყვარული, ჭეშმარიტი მოქალაქე—საზოგადო მოღვაწე, ჩუმად, მაგრამ მადლიანად ემსახურებოდა ჩვენის ერის წინსვლის საქმეს—სწავლა-განათლების გავრცელებასა და დაბეჩავებულ ხალხის გამოფხიზლებას...

ნიკომ თავისი მუდამ შუქმფენ სიცოცხლით გვიჩვენა, როგორი უნდა იყოს ყველა ნამდვილი მამულიშვილი—ქართველი და რა გზით უნდა ემსახუროს სამშობლოს ..

და ვისაც განსვენებულ მწერალ-მასწავლებლის პატივისცემა ჰსურს, მხნედ უნდა ემსახუროს იმ იდეალებს—ჩვენი გლეხკაცობის წინსვლასა და მამულის აყვავებას, რასაც მთელ თავის სიცოცხლეში ემსახურებოდა ნიკო!..

დღეს შავი სამარე ჩაგიკრავს გულში, ჩვენო ქირისუფალო, მაგრამ შენს ნათელ სულს მოზარდი თაობა და ხალხის გული დიდი ხანია რაც ესამარა...

განისვენე მშვიდათ, შენის შრომით უკვდავთა შორის ჩარიცხულო, ძვირფასო მოღვაწევ!.

# გლეხთა ჭირისუფალი



**ნიკოლოზ იოსების ძე ლომოური**
(1852—1915)

თითქო სიკვდილის ანგელოსმა ჩამოიარა...

ერთი მეორეს მისდევენ ჩვენის ქვეყნის ნაამგდარი შვილნი, შვილნი საუკეთესონი...

ერთი ასეთთაგანი იყო გლეხთა ჭირისუფალი, ხალხოსანთა ერთი მხნე და მტკიცე წარმომადგენელი, საუცხოვო მექართულე და ტკბილ-მეტყველი ნიკო ლომოური...

იგი გარდაიცვალა ქ. გორს, 17 აპრილს, დაბადებიდან 63 წ.

დიაღ, ნიკო გლეხთა ნამდვილი ჭირისუფალი იყო...

ჩვენის ერის საძირკველს, გლეხკაცობას ჯერ დღესაც კიდევ მაჯლაჯუნასავით აწევს ცრუმორწმუნოება, უვიცობა, [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბნელე, ბუნების ბრმა ძალა— სტიქიონი, სილატაკე და წვრილ მოხელეთა —სოფლის ბობოლთა მუშტები...

დღეს თუ ასეა, რა უნდა ყოფილიყო ამ ორმოცი წლის წინად, მაშინ, როდესაც ნიკო საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა...

გადაიკითხეთ მისი მხატვრული, წმინდა ხალხური ენით დაწერილი მოთხრობანი „ალი", „ქაჯანა", „ბედი უბედურთა", „ქრისტიანი ლეკები", „ყოვლის მხრიდან", „ბერუა ქრისტესიაშვილი", „სამფეხა ამირანი" და სხ. და ნათლად დაინახავთ—რა ცეცხლი სდაგავდა ამ, გარეგანი შეხედულებით მშვიდობიანს, სათნოებით აღსავსე ადამიანს...

მაგრამ ნიკო მხოლოდ სიტყვით, წერით არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ ჩვენის ხალხის დაწინაურება მარტო ლიტონი სიტყვით არ შეიძლება... ამიტომაც მიაშურა დაბა-სოფელს, პროვინციას, რომ ხალხთან ერთად ყოფილიყო, ხალხის სულიერ-გონებრივ ასამაღლებლად ემოღვაწნა...

———

ნიკო დაიბადა ს. არბოში, ქართლს, 1852 წ. 19 თებერვალს. მამა მისი იოსები სოფ. არბოს მღვდელი იყო, დედა—ეფემია გვიმრაძის ასული. ნიკო ბავშვობიდანვე გლეხებში იზრდებოდა და გლეხთა ჭირ-ვაება სიყრმიდანვე ჩაენერგა გულ-გონებაში წერა-კითხვა დედამ ასწავლა, შემდეგ გორს ჩაიყვანეს სასულიერო სასწავლებელში. ამ ხანად მამა მისს მრევლი ჩამოერთვა, რის გამოც მთელი ოჯახი გაჭირვებაში ჩავარდა, და ნიკომაც იწვნია სიღარიბის სიმწარე ნიკო ძმის დახმარებით თბილისს გადავიდა სასულიერო სასწავლებელში, სადაც იაკობ გოგებაშვილის ხელმძღვანელობით სწავლობდა და ქართულ მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს ეცნობოდა. აქედან თბ. სასულ. სემინარიაში გადავიდა. სემინარიაში ნიკო ცხვედაძისა და გიორგი იოსელიანის ხელქვეით სწავლობდა სემინარიაშივე გაეცნო ნიკომ რუსეთის მესამოცე წლების საუკეთესო მწერლების—ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ნეკრასოვის, რეშეტნიკოვის, უსპენსკისა და სხ. ნაწერები, და ხალხოსანთა (ნაროდნიკების) მსოფლმხედველობა შეისისხლხორცა, რისთვისაც სიკვდილამდე არ უღალატნია.

მწერლობა სემინარიაშივე დაიწყო, ხელთნაწერ ჟურნალში. მისი პირველი ნაწერი ლექსი „სიონის ტაძარს" დაიბეჭდა 70-იან წლებში, გაზ. „დროება"-ში. აქვე იბეჭდებოდა მისი „ხმა პროვინციიდან". ამავე დროს თანამშრომლობდა ჟურ. „მნათობში", სემინარიაში ყოფნისასვე დასწერა პოემა „იულონ ბატონიშვილი". სემინარიაში სწავლა გაათავა 1875 წ. და კიევის აკადემიაში შევიდა საისტორიო ნაწილზე. კიევიდან გაზ. „დროება"-ში ათავსებდა წერილებს „ხმა მონასტრიდამ". სთარგმნა ტ. შევჩენკოს „მუშა ქალი". აკადემიაში სწავლა დაამთავრა 1881 წ. და სამშობლოში დაბრუნებისთანავე მიწვეულ იქმნა სათ.-აზნ. სკოლის ინსპექტორად, ხოლო სამი წლის შემდეგ დანიშნეს გორის საოსტატო სემინარიაში ქართული ენის მასწავლებლად, სადაც 25 წ. მსახურებდა და ბევრს ჩაუნერგა გულში სამშობლო ენისა და ხალხის სამსახურის სიყვარული. ჩვენის ქვეყნის წინსვლისა და ხალხის წარმატების ერთ მთავარ ძალად მიაჩნდა იდეურად მომზადებულ-განვითარებულ სახალხო მასწავლებელთა აღზრდა, და დაბა სოფლებში დაგზავნა. ამ აზრს მტკიცედ ემსახურებოდა. გარდა მწერლობისა, ამ მხრითაც მისი ღვაწლი დიდია და მიბაძვის ღირსი.

თბილისის საზოგადოებამ იგი უკანასკნელად იხილა აკაკის დღეზე, 8 მარტს თვისი საუცხოვო მოგონებანით აკაკის შესახებ ნიკომ გვიჩვენა რა საუცხოვო ენის მცოდნე, ტკბილი და დარბაისელი მოსაუბრე იყო.

მწერლობის და მასწავლებლობის გარდა, იგი საზოგადო-საქალაქო საქმეებშიც მონაწილეობდა. ამ მხრივაც იგი ცნობილი იყო, ვითარცა მაღ ღირსეული მოქალაქე-მამულიშვილი.

საუკუნოდამც დარჩება სახელი მისი, რომელიც მთელი თვისი სულის სილამაზით მშობელი ერის წინსვლასა და უბედურთა ბედს დასტრიალებდა თავს...

**იოსებ არიმათიელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



, ლომოური (2) მეგობარ-ამხანაგთა შორის
1, სოფ. მგალობლიშვილი, 2. ნიკო ლომოური, 3. მათე კერესელიძე,

# აკაკის პირძო ლექსები

კნეინა ელისაბედ ირაკლის ასულის ორბელიანის სურათზე დაწერილი.

**ელისაბედ ორბელიანისას**

I

ფრანციზულად გიყვარს წერა,
რუსულს სთარგმნი—ქართულს ვერა,
მაგრამ მაინც ქართველობა,
გეფიცები, შენი მჯერა!

—

II

მისსავე ალბომში ჩაწერილი:

თვალად, ტანად, მიხვრა-მოხვრით
პოეტურად შემკობილო!
მომღიმარო, უებარო,
მოსაუბრევ ენა-ტკბილო.

—

ვით ცის მნათობს, გულის გამთბობს,
ვერ გაშორებ შორით თვალსა
სანამ შენგან გამოველი
სანუგეშო მომავალსა:

—

გახსოვდეს რომ ქართველი ხარ
იმის ნიადაგზე მდგარი
და მხოლოდ ის აგამაღლებს,
ვით გამზრდელი მეგობარი.

1910 წ. 17 მაისი. აკაკი

# მხატვარი ვანო

(გაგრძელება. იხ „თ. და ც.“ № 16)

1

გაზაფხულის უკანასკნელი დღეები იყო... მდინარის პირას იდგა ვანო და მის იდუმალ ჩურჩულს ყურს უგდებდა... ყურს უგდებდა მდინარის საიდუმლო ღრუტუნს. თვალს ადევნებდა, ბოლოქანქალები და წყლის მაშვები ერთი ქვიდან მეორეზე როგორ მარდათ დახტოდენ...

. საღამოს ხანი იყო . კოლხეთის ვეშაპი უკანასკნელად ამთქნარებდა და ოქროს ფერ სხივთა თაიგულებს მოკრიალე მდინარის პაწა. ტალღებში ათამაშებდა ..

უცქერდა ვანო ამას, უცქერდა სხივთა ფერხულს, ტალღათა შორის ჩაბმულს, და სიამოვნებით იღიმოდა... ხან კი გახედავდა შორს, შორს აჭიმულს, თოვლით შემოსილ კავკასიონს—იჭერდა მის სიკეკლუცეს—თვალებს ათრობდა...

აი, მზემ მდინარის ტალღათა შორის სხივთა თამაში შესწყვიტა და ახლა მისი სხივები, მხოლოდ შორეულ მთის ფერდობს ელამუნება...

ვანომ მიიხედ-მოიხედა. რა მშვენიერება იყო მის გარშემო: აგერ გვერდით კლდე, რომელიც აყუდებულა სულ ზევით-ზევით, მერე გადაზნექილა, გადახრილა და პაწა ხეებით შემოსილა... აქ კი დაბლა—მის უკან გაშლილა ტყე, ტყე ტირიფ-ვერხვთაგან შემდგარი...

უცქერის ამას ვანო .. ფიქრმა წაიღო იგი. მოგონებამ მისი არსება შთანთქა.

რამდენი, რამდენი ხანია მას აქაურობა არ უნახავს! ეს კი—მისი საყვარელი ადგილი იყო.. ბებერი ასწლოვანი ვერხვი—ბავშობისას ხომ ეს ვერხვი იყო მისი მესაიდუმლე. ავიდოდა ხოლმე მის ტოტზე და ასე უყვარდა მდინარის ტალღათა ღრუტუნის მოსმენა...

რამდენჯერ—ზაფხულში მდინარის ტალღებსაც შეპარვია იგი და სიცხიდან დამწვარი გული გაუგრილებია. ვანოს წინ მრავალი რამ წარმოუდგა: რამდენი წელია მას ყოველივე ეს არ ენახა!!. თითქმის თხუთმეტი წელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ფიქრში იყო ვანო, რომ უცებ მხიარული ღიღინი მოესმა...

— ჩემო ვერხვო, ჩემო მდინარევ, გენაცვალები, აი, ხო კიდევ მოვედი? არ დაგივიწყა შენმა ნაწუმ... გესალმები, გესალმები... დაიძახა ვიღაცამ და პაწა მდელოზე გამოჩნდა. .

ვანო შეკრთა. მის წინ ყვავილებით ხელში ახალგაზრდა ასული იდგა, რომელმაც კიდეც მოიმარჯვა ყვავილთა კონა, რომ მდინარისთვის ძღვნად მიერთმია, მაგრამ შეჩერდა. შერცხვა. კონა ხ.ლიდან გავარდა და თავჩაღუნულმა ეს ღა წამოიძახა:

— დედა ..

ვანო შეკრთა. მის წინ თვით ალი იდგა — საღამო ჟამს მოვლინებული. შავი, გაშლილი თმით თეთრი ტანსაცმლით — ეს არსება ყოველს ადამიანს მოხიბლავდა .. ვანო გაშტერდა... მერე უკან დაიხია... ასული არ ინძრეოდა .. იგი მიწას დასჩერებოდა. ტუჩები, მარჯანივით ტუჩები უთრთოდა, თითქოს ტირილს აპირებსო. ასულს არასოდეს აქ, ამ ადგილზე გარეშე ადამიანი არ ენახა.. მას სხვა მოზიარე არა ყავდა. — ამ ადგილის ბატონი ის ერთი იყო, მხოლოდ ის ერთი იყო ამ ადგილის მოსიყვარულე — და, რა იცოდა ასულმა, თუ მასზე ადრე, ოდესღაც, როცა ის ორი წლისაც არ იქნებოდა, ეს ვანოს საყვარელი ადგილი იყო ასული არ მოელოდა აქ ვინმეს შეხვედრას და როცა ახალგაზდა ყმაწვილი იხილა — შეკრთა. დაიბნა, თითქმის ეწყინა...

დიდხანს იყო ასე ასული .: როცა გამოერკვია და თავი მაღლა აიღო, ყმაწვილი არსად სჩანდა !

მიიხედ-მოიხედა სევდით მიწაზე გაბნეული ყვავილები აკრიბა. აკოცა. მდინარესთან მივიდა... შიგ გადისროლა... ამოიოხრა... არე-მირეს თვალი მოავლო და ნელის ნაბიჯით უკან გამობრუნდა...

ასულის გული ბოღმამ მოიცვა. . მისი კისკისი სადღაც გაქრა და შინისკენ ნელის ნაბიჯით დაბრუნდა...

(შემდეგი იქნება)

# დაშავებული

უფეხო, უხელო, ტან-შემოძარცული,
ზის ქუჩის ყურეში, მათხოვრობს ტანჯული:
„მომხედეთ კეთილნო, მომხედეთ მშიერსა,
მომხედეთ, მაჩუქეთ უძლურს და ხნიერსა“...

—

არავინ არ ისმენს მის ხვეწნა-ჩივილსა,
ცივ სიცილს აყრიან საბრალოს ტკივილსა.
და ასე, ყოველ დღე, საპყარი ხნიერი,
გამვლელს და გამომვლელს შეჰკვნესის მშიერი.

# შავი წიგნი

### (შ. არაგვისპირელის შემოქმედება)

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 16)

შ არაგვისპირელი მართლა ღრმად არის დაინტერესებული ადამიანის შიშველი სულით. მას სურს ყველგან ადამიანს ღრმად ჩაუძვრეს არსებაში, და ყოველგვარი თრთოლვა შეუმოსავი სულის, იხილოს. იგი ყველგან ეძებს მასალას, და აქ იგი რეპერტუარს აფართოვებს, ცოცხლად აკვირდება ყოველ იმ მოვლენას, სადაც ზედ-მეტად ცნაურდება ადამიანი, და აქ იგი თვალ-წინ გვიშლის მთელ იმ სახეთა წყებას, პსიხოლოგიურ ეტიუდების საშუალებით, რომლის სახითაც იხილა და განიცადა მან სინამდვილე. და ერთი მთავარი მომენტი, ეს სიყვარულია, სქესობრივი ურთი-ერთ დამოკიდებულება, რომელიც შეადგენს მთავარ წყაროს შემოქმედებითი აღმაფრენისას, და რომელზედაც კნუტ ჰამსუნი ასე მჭერმეტყველებს: „სიყვარული... ეს ნელი სიოა, ვარდის ფურცლებს ოდნავ რომ ათამაშებს, არა, ეს მოუვითალო ცეცხლია, სისხლში რომ დადის-დახეტიალობს. სიყვარული — ეს ჯოჯოხეთურ-ვნების მუსიკაა, რომელიც თვით მოხუცთ გულს აუტოკებს... სიყვარული — ეს პირველი სიტყვაა ღვთაებისა, პირველი აზრი მის გონებაში და-



**ისტორიკოსი დიმ. ბაქრაძე (1826-1915)** გარდაცვალებიდან 25 წ. შესრულების გამო. მომავალ ნომერში დავბეჭდავთ მისი მოღვაწეობის დახასიათებას.

---

ბადებული. და როს იგი იტყოდა: და იყავნ ნათელი,—იშვა სიყვარული... და იქმნა სიყვარული ქვეყნიურ პირველ წყაროდ და მის მბრძანებლად. ხოლო მისი გზები სისხლითა და ყვავილებით არის მოფენილი, მხოლოდ სისხლითა და ყვავილებითო". („ვიქტორია").

სულ სხვა გვარია მის დახასიათება ჩვენი მწერლის მიერ. იგი სიყვარულში მხოლოდ ხორცს ჰხედავს, მხოლოდ ვნებას: „მარტო ეხახუნებიან ერთმანეთს, სხვა არაფერი. არც სული და არც ხორცი ერთმანეთს არ უდგებათ", („მხრები და ავიჩეჩე"). ე. ი. სიყვარულში იგი ხედავს იმას, რაზედაც პოლონეთის ცნობილი მწერალი სტანისლავ პშიბიშევსკი ოცნებობს: მხოლოდ სხეულს. და იქ, სადაც პშიბიშევსკი, ეს შიშველი სხეულისა და ვნების ცეცხლის ჯადომწერალი, მხედრდება ყოველგვარი სულის წინააღმდეგ, სადაც იგი არღვევს ყოველგვარ ზნეობრიობის ზღუდეებს, და სადაც იგი, მხოლოდ სქესს უქმნის ლეგენდას, მხოლოდ შიშველ სხეულს ეთაყვანება, იქ ჩვენი მწერალი სევდით აღსავსე, ააშკარავებს ადამიანის სიძუნწეს, „ავ-ხორცობას," იქ ჩვენი მწერილი, ხანდახან აღშფოთებითაც გვაჩვენებს ადამიანს ხორცის მონას, სხეულის მორჩილს, შიშველ სულს, ვნების ხის გარემემოხვეულს. ვერც ერთ მის ეტიუდში ვერ შეხვდებით მწერლის დაკმაყოფილებულ ხაზს, ასოს. ყველგან შავი ასოებით არის ამოჭრილი: „ადამიანი... სისულელეა..." და მაშასადამე სიყვარულიც, როგორც ცხოვრების რეპერტუარის ერთი მხარე,—იგიც სისულელეა. სიყვარული—სიცრუვეა, სიყალბე, მოტყუება,—აი რას დადადებს მწერალი. არსებობს მხოლოდ ფიზიოლოგიური ვნება, და აქვე იწყება და თავდება სიყვარულის დრამაც. იგი მთელ წყებას გვიდგენს, და იმავეს გვეუბნება: სიყვარული, როგორც ზე-ფიზიოლოგიური—ზღაპარია, ხორც-ვნება—სინამდვილე. ადამიანი—ეს ჯადო-მშიერია, რომელსაც ხორცი ჰშიან, უძღები ნდომით. ვიდრე დაკმაყოფილდება წუთით მაინც, იგი ყველაფერს ჰქმნის, შემდეგ კი უცარიელდება გრძნობის ყუთი, და, გამაძღარი, ზურგს-და უბრუნებს წუთის წინად სათაყვანო არსებას. „მარტო ეხახუნებიან ერთმანეთსო"—ესაა მისი დასკვნა.

აგერ ამნონი ცრემლ-მორეული რომ უმზერს ჩამავალ მზის უკანასკნელ სხივებს, და გულჩათხრობილი სდგას მეგობრის წინ და სდუმს ..—„იონადაბ, მიყვარს, მიყვარს იონადაბ!.. უეცრივ მოტრიალდა ამნონი მეგობრისაკენ, და ამ სიტყვებით, თითქოს დედის მკერდი უპოვნიაო, ისე ჩაეკრა იონადაბს გულში და ჩუმი ქვითინი აუვარდა..."—„ყველა უგუნურებად ჩასთვლის შენს გრძნობას. რაც უნდა იყვეს თამარი, თუმც დედით სხვა-და-სხვანი ხართ, შენი დაა..."—ეუბნებოდა იონადაბი.—„განსდევნენით ყოველნი კაცნი ჩემგან"!.. დაიძახა ამნონმა, როდესაც თამარი მოვიდა ძმასთან. ამნონი ფერ-მიხდილია.—„თამარ,—ხმის კანკალით ძლივს მიჰმართა თამარს: „მოვედ და დაწევ ჩემთანა"!.. „მთლად შემოაფცქვნა ჭრელი სამოსი, რასაც მეფის ასულნი, „მყოფნი ქალწულებასა შინა, იცვამდნენ." დიდაა. დასცქერის ამნონი თამროს, და გონს ვერ მოსულა, თუ გვერდით თამრო უწევს. ის თამრო, რომელზედაც ასე ოცნებობდა გონარეული."—ეს, ეს!..—ეს თამარი...არა, არა! . ეს მჩვარია, მჩვარია, რომელსაც ვსრესავ, ვთელავ..,"—„დაიკარგე, დაიკარგე აქედან!..—დაუყვირა ამნონმა და ზიზღით ხელი ჰკრა...—მძულხარ, მძულხარ! ვიღაც ჩვარი დაჰკიდებულხარ აქა! ." „უცნაურია, უცნაურიაო"-გაიძახოდნენ კარის ყრმანი, ხოლო თვით მწერლისთვის კი არაფერი უცნაური არ ყოფილა. აქაც ის დაინახა, რაც ყველგან: რომ ადამიანი, ეს იგივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხეცია, რომ ვერავითარი ნორმები ვერ გარდაქმნიან მის პირველ-ყოფილობას, იგი მაინც მხოლოდ ცხოველად რჩება, რომელიც „მარტო ეხახუნებიან ერთმანეთს."

თუ გახსოვთ სტ. პშიბიშევსკის „De profundis", იქაც ამგვარივე სურათია. ძმას უყვარს უმცროსი და არა ძმური სიყვარულით, და ამ აღელვებულ დრამას, მწერალი მრუშით აგვირგვინებს. ხოლო თუ პოლონელი მწერალი ძალით ატიტვლებს, უხევს ყოველგვარ სამოსს, ზნეობას, რელიგიას და სხ. ცრუმორწმუნოებათ, რომ მით გაფურჩქნოს დამოუკიდებელ პიროვნების სიცოცხლე და ცხოვრება, ჩვენი მწერალი, წინააღმდეგ, ხედავს რა ყველგან მხოლოდ ტიტველ სხეულს, ვნების მორევს, პირს იბრუნებს და ეძიებს სიყვარულს, ზე-ხორციელ შუქით შემოვლებულს, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ხორცი, მხოლოდ ადამიანის უძღები სტომაქი და დაუკმაყოფილებელი მადა. აქ კი, შ. არაგვისპირელი კვლავ ადამიანის დამცირებას ჭხედავს, აქაც ადამიანზე დაცინვა ეჩვენება, მისი არარაობა თვალ-წინ ეშლება. მას ხომ სულ სხვა გვარად ეხატებოდა სურათი. ეგონა, რომ სიყვარული, ეს ცელქი კუპიდონია, ფარფატა ფრთებით უმანკო, წმინდა, როგორც ამას რომაელები ძველად ხატავდნენ, რასაც პომპეის ფრესკები ამოწმებენ. ჩვენს მწერალს ეგონა, რომ სიყვარული, ეს ის წყაროა, საიდანაც ადამიანი იღებს სიცოცხლის სრულ-ყოფას, უმაღლეს ტკბობას სულისას; რომ იგი აყვავილებს ცხოვრების ბაღს, სადაც ლაღად დანავარდობს ოცნება ადამიანისა. მაგრამ სინამდვილემ სხვა გვარი წარმოდგენა შესთავაზა. იგი წარმოუდგინა როგორც სასტიკი, პირ-უკმეხი მამაკაცი, მთლად ძარღვებად და კუნთებად ქცეული, მძიმე და ტლანქი ჩაქუჩით მხარზე, რომელიც მოდის ნელი ნაბიჯით, და ვაი იმას, ვისაც მიეკარება. ვერავითარი ძალა მას ვერ შეაჩერებს. ტრადიცია, ზნეობა, და ყველა მათი მსგავსი, ერთი დაკვრით მთლად დაილეწება, და მარად-მღვიძარე მადა ადამიანისა, კვლავ ხორცს შემოევლება ვნების სუროდ. შოთას „იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი. ნურვინ გარევთ ერთამნეთში, გესმისთ ჩემი ნაუბარით," —არ ისმინა შ. არაგვისპირელმა, არ მიიღო, და შოთას ჭაეროვან—ტურფა მიჯნურობას ამგვარი წინააღმდეგი სახე დაუყენა: „მხოლოდ ეხახუნებიან ერთმანეთს, სხვა არაფერი, არც სული და არც ხორცი ერთმანეთს არ უდგებათ."

ასეთია მწერლის მსჯავრი.

**ვახტანგ კოტეტიშვილი**

# ეროვნულ ხელოვნების ახალი ვარსკვლავი

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია,
აწმყო თუ არ გვწყალობს, მომავალი ჩვენია".

**ილია ჭავჭავაძე**



ალ. ციმაკურიძე

ეს უკვდავი სიტყვები, უკვდავი მგოსნისა ყურს ჩამწვდიან და უნებლიეთ იპყრობენ ჩემს ყურადღებას ახლა, როდესაც სამხატვრო სასწავლებლის გამოფენიდან დავბრუნდი და ჩვენი თანამემამულის ალ. ციმაკურიძის სურათები ვნახე.

თვალ-წინ მიდგას ქართული სამხატვრო ხელოვნება, ჯერ სულ ნორჩი, ჯერ სულ ახალგაზდა!

გაბაშვილი, თოიძე, გოგიაშვილი, მრევლიშვილი...

ღმერთო ჩემო, როგორ ცოტანი არიან, როგორ ცოტანი!

ახლა-კი მათ მიემატათ კიდევ ერთი, რომელმაც უმაღლესი სასწავლებელი უკვე დაამთავრა და ამ ცოტა ხანში სამშობლოსაკენ მოეშურება.

ციმაკურიძე, რომლის კურსის დამთავრება და პირველი ხარისხის მხატვრის წოდებით დაჯილდოება რუსულმა გაზეთებმა უკვე ამცნეს მთელ ქვეყანას, იმდენათ დიდი პიროვნება არის ეროვნულ ხელოვნების აღორძინებაში, რომ მისი ყოველმხრივ გაშუქება სპეციალისტის საქმეა.

ციმაკურიძის ცხოვრება ნათლად გვიმტკიცებს, რომ იქ, სადაც სიყვარულია არჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული საქმისადმი და თან შრომისადმი, ყოველი გაჭირვება ადვილი გადასალახია. მისი ცხოვრება ერთხელ კიდევ ნათელჰყოფს იმ დებულებას, რომ ნიჭი ბოლოს და ბოლოს თავის გზას ნახავს, ნიჭის პატრონმა დიდი ჭირ-ვარამიც რომ გამოიაროს.

პირველდაწყებითი სწავლა ალ. ციმაკურიძემ თბილისის სამხატვრო სკოლაში მიიღო, სადაც ადრევე მიიპყრო მასწავლებელთა ყურადღება. სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, იგი ჩვენი ცნობილ ქველმოქმედ ზუბალაშვილის შეოხებით ქ. მოსკოვს გაემგზავრა. ციმაკურიძეს სწავლა მით უფრო უძნელდებოდა, რომ საშუალო სკოლა არ ჰქონდა დამთავრებული. მაგრამ ბეჯითმა შრომამ თავისი ჰქმნა და ბ-მა ციმაკურიძემ ჩინებულად ჩააბარა საჭირო ეგზამენები, როგორც საშუალო სკოლისა, ისე თავის სპეციალურ საგნებისა.

საზოგადოდ, როდესაც სამხატვრო სასწავლებელს ათავებენ, მაშინათვე მხატვრის წოდებას არ იღებენ, არამედ კიდევ რამდენსამე წელიწადს იმუშავებენ და შემდეგ რომელიმე სურათს წარუდგენენ საგანგებოდ არჩეულ ჟიურის შესამოწმებლად. ციმაკურიძეს კი ჯერ სასწავლებელიც არ დაემთავრებია, მხოლოდ უკანასკნელ კურსზე იყო, დი წოდება მხატვრის კი უკვე მიიღო.

წელსაც, როგორც ყოველთვის, ვინც ახალგაზდა მხატვრებიდან კონკურსში მონაწილეობდა (სულ 25 კაცი იყო), ყველანი დიდი ხნის კურს დამთავრებულნი იყვნენ. ციმაკურიძის გარდა 1-ლი ხარისხის მხატვრის წოდება მიიღო მხოლოდ ორმა, 12-მა კი მეორე ხარისხისა.

ციმაკურიძის სურათები გამოფენაზე საერთო ყურადღებას იპყრობენ. უფრო კი მისი: „ვაზხა ეკლეზიდებათ“, რომელმაც მოუპოვა სახელი და ჯილდო. ხშირად გამივლია ამ სურათის გვერდზე მუდამ მის წინ ხალხი სდგას და თავის შეხედულებას ერთი ერთმანეთს უზიარებს.

ბევრი მსურველი აღმოჩნდა ამ სურათისა და ბოლოს, რასაკვირველია, გაიყიდა. იქვე გვერდით მეორე სურათი ჰკიდია: „დილე ქვიშხეთში“. ვაცქერდებოდი ამ სურათს და თითქო თვალწინ მედგა შორეული სამშობლოს ამწვანებული მინდორ-ველები.

საზოგადოთ ციმაკურიძე ძალიან დაინტერესებულია ეროვნულ ხელოვნებით. მე შემთხვევით ვნახე მისი ესკიზი ალ. შანშიაშვილის პოემა „ქალი გრძნეული“-სათვის. ახალგაზდა მხატვარს დაუხატავს ბროლის ციხე შიგნიდან და, უნდა სიმართლე ვსთქვათ, დიდი შემოქმედებითი ნიჭიც გამოუჩენია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, ის ბეჯითობა და სიყვარული შრომისადმი, რომელიც აქნობამდე ბ-ნ ციმაკურიძეს ახასიათებდა, კვლავ დარჩებიან მისი თანამგზავრნი და ნიჭიერი ახ ლგაზდა ახლად ფეხადგმულ ეროვნულ ხელოვნების აღორძინება-წინსვლას ხელს შეუწყობს.

ა. რ.

# სამი კითხვა

(ქართული ძველებური ზეპირ-გადმოცემა, გაგონილი სოფ. შინდისში მცხოვრებ მიხეილ მირზაშვილისაგან)

ერთს მეფეს მეტად ჭკვიანი და მხიარული ვეზირი ჰყავდა, რომელიც ქალაქის განაპირა უბანში სცხოვრობდა და როცა ეახლებოდა მეფეს სასახლეში, ყოველთვის ზურნადაფით მიდიოდა ხოლმე.

როცა ქალაქში გაიგონებდნენ ზურნის ხმას, ყველა იტყოდა, ეს მეფის საყვარელი ვეზირი მოდისო.

ერთხელ მეფემ უთხრა:

— თუ მართლა ჭკვიანი კაცი ხარ, აბა სამს კითხვაზე მომეცი პასუხი.

— მიბრძანე შენი ჭირიმე!

— აბა გამოიცანი: რა უფრო ღონიერია, რა უფრო სურნელოვანი და რა უფრო გემრიელი?

მისცა მეფემ სამი დღის ვადა.

ვეზირი რომ წამოვიდა სასახლიდან, ისე ჩაფიქრებული იყო, ისე დაღონებული ამ სამი კითხვის გამოსაცნობად, რომ ზურნა აღარ დააკვრევინა.

ამ ვეზირის ქცევა შინაურებს მეტად გაუკვირდათ და მოქალაქეებმაცა სთქვეს: სწორედ დიდი რამ ფიქრი აწუხებს, რომ მისი ზურნა აღარ ისმისო.

მივიდა შინ თუ არა, წაისვე თავის ოთახს მიაშურა და ფრიად დაღონებული ჩამოჯდა ტახტზე ღრმა ფიქრში წასული.

დიდ ხანს იყო ჩაფიქრებული, არც არასა სჭამდა, არც არასა სვამდა.

შემოეხვივნენ გარს ცოლ-შვილი და გამოჰკითხეს იმისი თავ-გარდასავალი.

— აი, შვილებო, ჩემი გასაჭირი ის არის, რომ ამოდენა ფიქრის შემდეგ ვერ გამოვიცანი ის სამი კითხვა და ხვალ ვადა თავდება, პასუხი უნდა მივართვა.

— რა სამი კითხვაა ისეთი, რომ შენ ვერ დასძლიე? იკითხა უმცროსმა ქალმა, მეტად ლამაზმა, ჭკვიანმა და თამამმა.

—მეფემ მიბრძანა: რა არის ქვეყნიეროზე უფრო ღონიერი, უფრო სურნელოვანი და უფრო გემრიელიო?

— მაგაზე რა გაწუხებს ამდენი ხანი? წადი, მოახსენე მეფეს, რომ შენ უქეიფოთ ხარ და ვერ გამოიცანი და შენ მაგიერად პასუხს მე მივართმევ, უთხრა უმცროსმა ქალმა.

წავიდა ვეზირი მეფესთან და მოახსენა: რადგანაც ავადა ვარ, ჩემ მაგიერად ხვალ ჩემი შვილი გიახლება და პასუხს მოგართმევსო.

შეჰყარა მეფემ ნაზირ-ვეზირნი, წარჩინებულნი, საპატიო პირნი და დაუწყო ლოდინი ვეზირის ქალს.



მგოსანი

**ვაჟა-ფშაველა**

მის პატივსაცემლად სალიტერატურო დილას გამართვენ ამ მოკლე ხანში „სახ. თეატრში".



დამსახ. სცენისმოყვარე

**გ ფირუმიანი**

საკუთარი დასი შეადგინა და ქართულ წარმოდგენებსა ჰმართავს სახაფხულო სახალხო თეატრში.



**ბავშვები აკა**

გაისმა ქუჩებში ზურნის ხმა. ყველამ სთქვა—აი ვეზირი მოდისო. მართლაც ამ ზურნას მოჰყვა სასახლეში ვეზირი თავისის ქალით და წარსდგა წინაშე მეფისა.

— აბა, თუ გამოიცანი, სთქვი ყურს გიგდებ, ბრძანა მეფემ.

— ყველაზე უფრო ღონიერი არის— წყალი, მოახსენა ქალმა.

— როგორაო, ჰკითხა მეფემ.

— როგორა და ისე: როცა წყალი მოსკდება და წამოვა თავის სიმძლავრით, ვერაფერი ვერ შეიმაგრებს, ვერაფერი ვერ შეაჩერებს იმის დენას.

— მართალიაო, ბრძანა მეფემ, ბარაქალა შენი, ქალო!

— ყველაზე უფრო სურნელი არის პური, სთქვა ქალმა.

— როგორ თუ პურიო? გაკვირვებითა ჰკითხა მეფემ

— თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ მამა ჩემს ბაღში ათას-ნაირი ყვავილები აქვს, მაგრამ სანამ ყვავილს ზედ ცხვირთან არ მიიტან, იმის სუნს ვერ გაიგებ. პური კი სულ სხვაა, როცა პურს აცხობენ – იმისი სუნი შორიდან მოდის.

— მესამე?

— ყველაზე უფრო გემრიელი არის ცოლი.

უპასუხა ქალმა.





**საფლავთან** (ფოტოგრაფია სტურუასი)

— ვაშა! ვაშა შენს ქალობას! უბრძანა მეფემ,—ბარაქალა შენს ჭკუასა და რადგანაც ამისთანა ჭკვიანი ყოფილხარ, მინდა ჩემს რძლად აგიყვანო და ჩემს ვაჟზე გადაგწერო ჯვარი!

მხიარული ვეზირის სიბრძნისა და დიდი ჭკუის ხმა—უფრო მეტად გავრცელდა ხალხში.

**კოტე ყიფიანი**

# კახეთის რკინის გზაზე

(სცენა)

(დასასრული.—იხ. „თ. და ც." № 16)

(თელაველი ვაჭარს მოუკალათნია ვაგონის ერთ ფანჯარასთან, იმის ბარგს ხუთის ადაგი უჭირავს)

**თელ. ვაჭ.** აი ღმერთმა ჩემი ფეხი დასწყევლოს ამ გზით მე კახეთში აღარ წამოვიდე. არა, ტო ჰერნანიწაწ! აზირ ფურგუნში ფუთზედ აბაზი მივცე? ჰამაც მე მუქთად ჩავეგდო? იცი მაინც რო შინ ცოცხალი მიხვალ. ამ ოხერში მუდამ წამ სიკვდილს ელი: ერთი დარდაკუნა მაშინისტმა მისცეს „პოლნი ხოდი", წადი აქედანვე „პრემათ" საიქოს. ვინ იცის რომელი ვაგონის ფიცარი კამიმტვრევს თავის ქალას. განა არა, წუხელ სიზმარში მარცხენა თვალი საწყენს მეუბნებოდა. ვაა! თვრამეტი მანეთი ჩემი შეხვედრობა?!. ლამის გავგიჟდე. თუ ერთი ოთხჯერ ვიმგზავრე ამ მოდნის რკინის [illegible]იან დახლს არ დავაყენებ!..

ბიბლიოთეკა

**კონდუქტორი.** (შემოდის) Билеты, господа билеть!

**ვაჭ.** (უბის დილებს იხსნის. უბიდან ხელსახოცს იღებს. ხელსახოციდან პორტმანს. პორტმანს ხსნის და ბილეთს აძლევს)

**კონ.** მეიტა ჩქარა კაცო! რა ძვირფასი მარგალიტივით ქაჯეთის ციხეში ჩაგიმალია, არავინ არ მოგპარავს.

**ვაჭ.** დაიცა ერთი მამაგიცხონდა და! არავინ მომპარავს რომელია. ოთხი მანეთი და ორმოცდა თორმეტი კაპეიკი ნაღდი რო ჩავაბარე მარტო ამ ბილეთისა, თვალებიდან ნაპერწკლები წამომცვივდა.

**კონ.** აქ სხვები ვინღა არიან? ამდენი ვეშჩი ვისია?

**ვაჭ** ჩემია. რაღა ბევრია? მე ვიცი ცხენები არ დაუცვივდეს ამ შენს მაშინას.

**კონ.** არ შეიძლება ამდენი ვეშჩი! პრავილა ისეა, რომე რასაც შენი ხელით შემოიტან, იმის გაყოლების ნება გაქვს.

**ვაჭ.** ვა! როგორ ჩემი ხელით?! მაშ ვისი ხელით არის მოტანილი? სუფსარქსიმა ამომიწყვიტოს ცოლშვილი და მიღდისას გამოვუდგე საიქიოს, თუ ამ საქონლის ამოტანაში ეშველოს ვისმეს. სულ ამ მარჯვენით შემოვიტანე.

**კონ.** (ჩააქნევს ხელს და ბუზღუნით გადის) მეისპეთ, დეიწვით, კარგი ხალხი თქვენა ხართ.





**გ. გელიკურაშვილი** **რ. სალაყაია**

დამსახურებული სცენის მოყვარენი და სახალხო თეატრის მონაწილენი

(გასული კვირის ნომერში მოთავსებულ სახ. თეატრის დასის" სურათებთან ჩვენს უნებლიეთ ვერ მოექცნენ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თელ. ვაჭ.** ტოჟე ტუტუც! ბევრია ბარგიო. რა ღმერთი გამიწყრა ის ცამეტი ფუთიც აქ არ შემოვაოხრე. ვაი ჩემო თვრამეტო მანეთო რა საძაგლად გიღალატე. (გაისმის სიმღერის ხმა და გამოივლის „ნაკაშ-ლი კნიაზია“).

**კნიაზი.** ალავერდი..გა..სპოდ..სტაბოიო ...ოო გენაცვალეთ, რომ რკინის გზით გვაღირსეთ კახეთში მგზავრობა. ოჰ! რა საქეიფო მწვანეებია! ერთი ამ ხიდის ყურში დუდუკი და ივრის პირზე საუზმე სიცოცხლეა! ალავერდი... ალავერდი.. ტრა... ლა...ლა ..ლა.... ლი...ლა. .ლა...

**ვაჭარი** (უურებს აცქვეტავს) ოხო! აქაც გაჩენილან ეს ჩხუბიანები! ოი! გასწყდით, გასწყდით, გასწყდით. რაც იმ ხელაღებულის შვილმა ჩემზე ლეურველი ამოიღო, მას მემრე ამათი ჩრდილისაც მეშინიან. სადაც კი ამათ დავინახავ, ციება მესტუმრება ხოლმე. ეხ! ჩვენ კი არა გვაქვს სამართალი, წაიყვანონ რაღა ეს ბნედიანები გერმანიაში, ვაგონებში რას აკეთებენ ნეტა.

**კნიაზის ხმა** О чортъ его знаетъ, რა ძალიან ირყევა ეს ვაგონები! თუ ორი არ დაუმატე, ლამის წავიქცე.

**ვაჭ.** (ისევ თავის თვრამეტ მანეთზე ფიქრობს) ჰმ! თვრამეტი მანეთი! რა ერთბაშად ამძუძგეს! ერთი ორი წელიწადი ეგრე იმუშოოს, მთელ ევროპიას დაიგირავებს.

**სილნაღელი ვაჭ.** (შემოდის) ოო! ბულდან! სადა გნახე კაცო! რა ხანია ერთმანეთი არ გვინახავს. გახსოვს შენ რო თევზი დაგიტუსაღა პოლიციამ, დაგიბრაკა და ჰამაც ნავთი შენ გაყიდინა დასაწველად. ოჰ! იმათ კი არ გიყვეს მაზალო საქმე. მას მერმე აღარ შინახვიხარ, აი, თუ დაიჯერებ. ამბობენ მარიფათობა გამოგიჩენია, კახეთში რაღაც მამულეპი გიყიდნია. აი მალადეც!

**თელ. ვაჭ.** დაიცა, ერთი, დაეგდე, უბედო. ერთი ყველაფერი უზურში დაწვრილებით მიამბე. შენ სადღა ხარ? რა ქენი? როგორ ვაჭრობ?

**სილნ. ვაჭ.** ეე! ნულარ იტყვი ძმაო, წავიდა ის დრო, როცა .. აბა, რაღა გითხრა ამ ჩვენმა ძროხებმა გაახილეს თვალი, ისწავლეს ჭკვა. ძნელი საკრეჭი და საწველები გახდნენ. ვაივაგლახისაა ჩვენი ვაჭრობა, ვაივაგლახისა.

**თელ. ვაჭ.** ჰო! ეგრეა, ეგრე, ისწავლეს თანდათანობით ჭკვა. მართალია ბლომა ნაღები მოვხადეთ, მაგრამ ახ .. ერთი ორი ჩვენი თაობაც რომ ესეთ დორანში ყოფილიყო, კარგი იქნებოდა. ეს ამხანაგობაო, ეს დეპოებიო, ეს მელკი კრედიტიო, თუ რაღაც ჭირი მოიგონეს.. ამ მელკი კრედიტმა ხომ მეხიდაგვცა თავზე რაღა. ბევრი ვიქადაგე ამ ბანკებზე, ბევრი ვაძაგე, რაღა არ უთხარი გლეხებს: აი ტერტერას კასასავით არის მეთქი, აი შანტაჟისტების მოგონილია, აი თქვენი მოტყუება უნდათ მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ყური არავინ გაიბერტყა, არავინ დაიჯერა.

**სილნ. ვაჭ.** სხვა, ეჰ! მაგას თავი დავანებოთ. ამ სიბერის დროს რკინის გზითაც ხომ სეირნობ. როგორ მოგწონს, ჰა?

**თელ. ვაჭ.** აი! აი! ადრე და მალე ვღირსებივარ ამის ამოგვას. კაცო, რა მიყვეს, რა ამ მოუნათლავებმა, გაგონილა?! კაცო, თვრამეტი მანეთი დამისვეს თელავამდის მგზავრობა. ვაიმე, აფსუს ჩვენო დილიჟნებო! აფსუს ჩვენო ოჩოლფეხა ტროიკებო! ოხ! მარტო ის რათა ღირდა, გულში არ გეშინოდა პოეზდის გადავარდნისა. რა მაზალო იყო ხოლმე იამშჩიკები, რომ ტარიდან დააბრუნებდნენ კნუტებს და ისე უტყაპუნებდნენ ედიგაროვის კაჭკაჭა ცხენებს. გაგიხარიან ხშირად ისინი ედიგაროვს იხსენიებდნენ. არა, ცოტა ავი ზნეცა ჰქონდათ ჩვენ დილიჯნებს. მარტო იამშჩიკების ნავოდკის თხოვნისაგან ზაჰალა იყო წაღებული. მეც არ ვაძლევდი. ძალა ხომ არ იყო. ცოტა ივრისა და გომბორის აღმართებში ცხენებიც გვამკობდნენ სალდათური გარმონებით, მაგრამ რა უყოთ, მაგისთანა რამეები გვინახავს? ხა! ხა! ხა! ხა! ეჰ! მოკლედ რომ გითხრა, ჩვენი ცხონებული დილიჯნები ათ წილად მერჩივნა ამ გასავერანებელს. აი რაღაც სტანციაში მოველით. ერთი შენ ეს მითხარი, რას შვრები, ხეირი არის ამ შენ ბაზაზობაში, თუ მიკიტნობა სჯობია?

**სილნ. ვაჭ.** უნდა გითხრა, ბალდოჯან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ჯარის კაცი ლადო ხელსუფოვი



სართიჭალელი ი. გერმანიის საზღვარზე ბრძოლაში დაიჭრა, სამშობლოში დაბრუნებული განიკურნა და ოსმალეთის საზღვა[რ]ისკენ წავიდა სურსათის ურმებზე. ყარსში პირველ აპრილს ჩამონგრეულმა სახლმა დაიტანა სხვებთან ერთად და დაიღუპა. მასთან ერთად დაიღუპნენ აბ. ჯარიაშვილი, ახალსოფლელი მარტიაშვილები და სხ.

---

რომ ეგ მიკიტნობა რაღაც „ატჩაიანი“ ხელობაა, ნამეტნავად ამ ვაენობის დროს. ტოიდელო ბაზაზობა. ჩვენ ხომ ვამბობთ ქკვა ისწავლა ქედნობამაო, ჩემ სიტყვას ჯერ გულუხვად აქვს გასავალი: ჯერჯერობით კიდევ კარგი მრევლი მყავს. ოღონდ უთხარი ვაენობაა, დაძვირდა—კმარა, დაგიჯერებენ. ოღონდ უთხარი გერმანიას ათი გემი დაუღუპნია, სულ ჩითებით და შალებით ყოფილა სავსე, ხელად დაგიჯერებენ. იმ დღეს ერთი სოფლელი ბესო ჩამაცივდა ლორის საქალმე ოთხ აბაზათ დამითმეო. ბევრი ვეუბენ, რო საქონელი დაძვირდა მეთქი—არ იჯერებდა, მაგრამ როცა უთხარი—დარდანელი დაუკეტნიათ და ერთ გემსაც აღარ უშვებენ მეთქი, მაშინ ფაცი-ფუციტ მომაწოდა მანეთიანი.— ხე!.. ხე!.. ხე!.. ხე!.. ერთი მკითხე, თუ ძმა ხარ, ლორის ტყავს დარდანელში რა უნდა, ამბობენ სათათრეთისა არის ის ქალაქიო, მაგრამ როცა (თავზე ხელს იდებს) ენდეხ ჩკა—ჩკა!

**თელ. ყაჭ.** ოხ, ქრისტემ შეგაჩვენოს, ქრისტემ! კარგი მასხარა შენ არა ხარ პატარაობიდანვე ესეთი ბემურაზი რაღაცა იყავი. როგორ იყო გოგოებსა და ბიჭებს რომ კვერცხებს აპარინებდი შინიდან კევზე და კაძფეტებზე? აი, გაფუჭდი, გაფუჭდი შენ აჰა! (ისმის ხმა კონდუქტორისა—Пересадка Телавъ-Цноріани)

**თელ. ვაჭ.** (ფათი-ფუთით ეზიდება ბარგს, თან ბუზღუნებს) აი ამოვარდით თქვენი რკინის გზით, ოხრად დაგრჩეთ თქვენ ეს რკინის გზა, ქლეხებში მოგხმარდეთ. როდის უნდა ჩავზიდო და ავზიდო სხვა ვაგონებში ეს ამოდენა საქონელი?! **გენო**

# ქართული საერო და საეკლესიო გუნდები

არ გვახსოვს ქართულ გუნდის მიერ გამართული ისეთი კონცერტი, რომ ხალხი, საზოგადოება აღტაცებით არ მიჰგებებოდეს.

ჩვენს ერს სწყურიან ეროვნული სიმღერა-გალობის მოსმენა.

ასეთი მოვლენა უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ.

მოგეხსენებათ, ქ. თბილისში არსებობს არა ნაკლებ 10 გუნდისა, კერძო პირთა თაოსნობით ამას რომ მიუმატოთ ქართ. ფილ. საზოგ., სემინარიისა, „განათლების“ სკოლისა, საეპარქიო სასწავლებლისა და ქართ. გიმნაზიისა და სხ., აღმოჩნდება, რომ თბილისში 16—17 ქართული გუნდი მოიპოება.

ჩვენ ხელთა გვაქვს მასალა, თუ რომელ გუნდში, რამდენი იღებს მონაწილეობას და გუნდებს რა მიზანი დაუსახავთ.

ეს მასალა გვაჩვენებს, რომ ქართულ გუნდებში დაახლოვებით მონაწილეობს 500-სამდე ქალი და კაცი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულ გუნდების დამაარსებელთ და ამ გუნდებში მონაწილეთ მიზნად დაუსახავთ მხოლოდ სახალხო სიმღერებისა და საეკლესიო გალობის შესწავლა-გავრცელება და არა მატერიალური მხარე (ერთი თუ ორი გუნდის გარდა).

ამ გარემოებას საჭიროა აუცილებლივ მიექცეს დიდი ყურადღება...

მოგეხსენებათ, ყოველი გუნდის ლოტბარი თავის გუნდს ასწავლის იმას, რაც თითონ იცის, იმ კილოზე, როგორც მას აქვს შესწავლილ-შეთვისებული, ე. ი. თავის გემოვნებაზე, და ამიტომ, ხშირად, ჩვენ ერთსა და იმავე სიმღერას ანუ საეკლესიო საგალობელს სულ სხვა და სხვა გემოვნებით და კილოთი ასრულებულს ვისმენთ. ამიტომ საზოგადოებისთვის გამოურკვეველი რჩება, რომელი კილოა ამ სიმღერაში ეროვნული და სინამდვილით შესრულებული.

თუ ამ გარემოებას არ მიექცა ჯეროვანი ყურადღება, შესაძლებელია, ჩვენდა უნებურად ისე დავამახინჯოთ ეროვნული სიმღერა-გალო-

ბა, რომ, როგორც იტყვიან „ძაღლი—პატრონსაც“ კი ვეღარ სცნობდეს.

რა გზით მოუაროთ საქმეს? რა საშუალება ვიხმაროთ, რომ ჩვენს ქართულ სიმღერა-გალობას თავისი ეროვნული ელფერი არ დაეკარგოს და ჩვენს შთამომავლობას გადავცეთ წმინდად?

ჩვენის აზრით, საჭიროა შესდგეს საერთო კრება ყველა არსებულ ქართულ გუნდთა ლოტბარებისა და ყოველ გუნდიდან არჩეულ თითო მომღერლისაგან.

ამ კრებამ უნდა ითავოს საერთო გეგმის შემუშავება, მოწვევა რომელისამე კომპოზიტორისა, მოწყობა და მოწესრიგება საერთო ეროვნულ კონცერტისა, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას ქ. თბილისში არსებული ყველა ქართული გუნდები.

ეს კრება უნდა მოიწვიოს მომღერალთა საზოგადოების „სანთურის“ გამგეობამ, ქარ. ფილ. საზ. ან და ბ. მ. კავსაძემ, როგორც კერძო გუნდების ძველმა წარმომადგენელმა.

ამისთანა შეერთებული ძალით მოქმედება ძალიან დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს გათვითცნობიერებას, ერთის მხრით, და მეორის მხრით კი ნივთიერადაც დიდ დახმარებას აღმოუჩენს ჩვენს ეროვნულ დაწესებულებათ.

ჩვენის აზრით საკმარისია ამ შეერთებულმა ქართულმა გუნდმა წელიწადში 5 კონცერტი გამართოს, სახელდობრ: 1) 14 იანვარს—წმ. ნინოს დღეს—საეკლესიო კონცერტი; საერო კონცერტები: 2) ილიას, 3) აკაკის ფონდის გასაძლიერებლად, 4) ქ. შ. წ. კ. ს. სასარგებლოდ და მე-5-ე—1 მაისს თამარ მეფის დღეს. —უკანასკნელი 1 მაისისთვის (თამარის დღე) გამართულ საერო დღესასწაულში, გარდა ქ. თბილისში არსებულ გუნდებისა, მონაწილეობა უნდა მიიღონ მთელ საქართველოში არსებულმა ქართულმა გუნდებმა.

ეჭვს გარეშეა, ამ დიად საქმის განსახორციელებლად დაგვჭირდება ფულები, მაგრამ ჩვენის აზრით ეს მეორე ხარისხოვანი საკითხია, ვინაიდან, ჯერ ერთი, ზოგიერთ ქართულ გუნდს აქვს კასაში ფული და ვფიქრობთ მომღერალნი არ დაერიდებიან ხარჯს, ოღონდ ეს დიადი საქმე განხორციელდეს, მეორეც—თითო მომღერალმა ამ საქმისათვის თითო მანათი რომ გამოიღოს, სათაურში მდგომთ შიეცემათ საშუალება—როგორც კომპოზიტორის მოწყობისა, აგრეთვე ყოველ წლივ საერო დღესასწაულების მართვისა, ისეთი დღესასწაულებისა, როგორც იმართება ლიტვაში და სხვაგან.

ეს საკითხი დიდმნიშვნელოვანად მიგვაჩნია და იმედია ყურად იღებენ ვისაც შეეხება.

თუ როგორ და რა სახით ჰმართავენ ეროვნულ დღესასწაულებს სხვა, ჩვენსავით დაჩაგრულნი, ერნი ამაზე შემდეგ მოგახსენებთ.

**თომა მაღაროელი**

# ქართველ მოსწავლე ქალთა საყურადღებოდ

განათლების მინისტრის მოხსენებამ მინისტრთა საბჭოში, რომელიც ფართო გზას უხსნის ქალებს საექიმო და სამედაგოგიო განათლების მისაღებად, მომაგონა ექიმ-ქალთა სტატისტიკური ცნობანი 1913 წლისა, მოთავსებული საექიმო ჟურნალ „Общественная гигiена“ ს მარშანდელ ნომერში.

აი, რა სურათს გვიხატავს ეს ცნობები:

1913 წ. შესრულდა 35 წელი იმ დროიდან, როდესაც უმაღლესი სასწავლებლის საექიმო ნაწილმა პირველად გამოუშვა ექიმი ქალები. საექიმო სიაში იმ ხანად ირიცხებოდა 2564 ექიმი-ქალი. ესენი განიყოფებიან ეროვნების მიხედვით ამნაირად:

რუსი—1649, ებრაელი—615, პოლონელი—118, გერმანელი—37, სომეხი—32, ქართველი—7.

როგორც სჩანს, ექიმ-ქალთა უმეტეს პროცენტს შეადგენს რუსობა—65,7%. მეორე ადგილი უკავიათ ებრაელთ—24,5%, მესამე პოლონელთ, მეოთხე გერმანელთ. სომხები კი შეადგენენ—1,3% სხვა ერთა ქალები საერთოდ—1,4%.

ისინი, ვინც უნივერსიტეტში ექიმობის მოწმობა მიიღო, განაწილდებიან ამგვარად: რუსები—34,8%, ებრაელნი—51,1%, სომხები—1,8%, გერმანელნი—1,3%, პოლონელნი—7,9%.

ვინც უმაღლესი ხარისხი (доктора медиц.) მიიღო, მათი რიცხვი ასეთია: ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ ჩამოვთვალოთ, აღვნიშნავ მხოლოდ ჩვენსა და ჩვენს მეზობელ სომხის ქალებს:

**ქართველები:** — პარიზში — 1,

**სომხები:** — პარიზში — 2, ბერლინში — 1, ლოზანში 4, — ბერნში — 1, ჟენევაში — 1, — სულ — 9.

მათი სამსახურის სია, როგორც სახელმწიფო ისე საზოგადო დაწესებულებებში და თავისუფალ პრაქტიკით მომუშავე ქალების, ისევ ჩვენსა და სომხებ შორის, ასეთია:

**ქართველები:** — სასოფლო ექიმად — 1, კერძო საავადმყ. — 3, თავისუფალი პრაქტ. — 2, ცნობა არ არის — 1, სულ — 7.

**სომხები:** — საერობო დაწ. — 3, სასოფლო ექიმად — 4, სამთო დაწეს. — 4 განათლ. უწყ. — 1 რკინის გზის ექ. — 1, თავისუფალ პრაქტ. — 17, საზღვარ გარეთ — 1, ცნობა არ არის — 1, სულ — 32

ამნაირად ყველაზე ჩამორჩენილი ჩვენა ვართ — ქართველები. სასურველია ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა გულის ყურით მოექცეს ამ არა სასურველ მოვლენას.

ცუდ გუნებაზე გაყენებს ეს ციფრები. თუ დღემდის არა, ახლა მაინც ვეცადოთ, რომ დავიმკვიდროთ განათლებულ ერთა შორის თვალსაჩინო ადგილი, სამარცხვინოდ ნუ მოვებმით საერთო სტატისტიკას კუდში. გავითვალისწინოთ ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, რომელიც სხვაზე მეტად საჭიროებს მცოდნე შვილებს: ჩვენს ქალს მძიმე ბედი ხვდა წილად - დავრდომილი სამშობლოს ფეხზე დაყენება. ამიტომ ჩვენი ქალი გაორკეცებული ენერგიით უნდა იძენდეს საჭირო ცოდნას, რომ საყვარელი, საუცხოვო წალკოტი ჩვენი მხარე სხვის საკუთრებად არ გახდეს და ჩვენს წილად მხოლოდ გვიანდა სინანული დაგვრჩეს.

რასაკვირველია, ყველა ექიმი არ იქნება, მაგრამ როგორც საექიმო, ისე სხვა დარგშიაც საპატიო ადგილი უნდა გვეკავოს. დროა გამოვფხიზლდეთ, დროა ეს ჩვენთვის სამარცხვინო სტატისტიკური ცნობანი შორს მოვიქციოთ და მთელ ქვეყანას თამამად შევსძახოთ: იყო და აღარ არის! ახლა, როდესაც სწავლა-განათლებას მოსალოდნელია უკეთესი ხანა დაუდგეს, ჩვენც შესაძლებელია ბედმა გაგვიღიმოს და ჩვენს დედა-ქალაქში უმაღლესი სასწავლებელი დაგვიარსდეს, თქმა მეტია, ჩვენს ჩვეულებრივ სიზარმაცეს ადგილი აღარ უნდა ექნეს.

ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა ამ მოვლენას ჯეროვან ანგარიშს გაუწევს.

**თეოდოსია ჯაფარიძისა**

# სახალხო თეატრის ისტორია

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." 1914წ. № 42)

(ავტორის თხოვნით იბეჭდება სრულიად უცვლელად)

ხელოსანთა ამხანაგობა ავჭალის აუდიტორიაში მუყაითად მუშაობდა: ყოველ წარმოდგენას დიდძალი ხალხი ესწრებოდა.

გაზეთებშიაც მოუხშირეს რეცენზია-შენიშვნების წერას.

ახლა კი ყურადღება მოგვაქცია ჩვენმა ინტელიგენციამ და მოინდომა ჩარევა ამ საქმეში, შეიყარა ოცამდე ინტელიგენტი და 1895 წ. დანიშნეს კრება მასწავლებელ ქალთა საზოგადოების კანტორაში. მიგვიწვიეს ჩვენ და გვკითხეს საქმის ვითარება.*) დავიწყეთ ლაპარაკი..., ვლაპარაკობდით, ვლაპარაკობდით და მხოლოდ ვლაპარაკობდით. ამ ცარიელ ლაპარაკს მოანდომეს რამდენიმე კრება. ბოლოს ქ-ნმა მ. არღუთინსკიმ და ვ. დ. ქართველიშვილის ქალმაც (მიქაბერიძისამ) თავი დაგვანებეს (რომელნიც ნებართვას იღებდნენ), რადგანაც გაიგეს, რომ ინტელიგენცია ჩვენს საქმეში ჩაერია და დარწმუნებულნი იყვნენ, ნებართვას ისინი აგვიღებდნენ. ერთი-ორი კრებაც ამ ლაპარაკს მოანდომეს და სწორედ ამ დროს, 1895 წელშივე, აგვიკრძალეს სახალხო წარმოდგენების მართვა ავჭალის აუდიტორიაში.

[1]) სახალხო თეატრის საქმე სწორედ ამ კრებიდან გადადის ინტელიგენტთა ხელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენები შეწყდა, საქმის მოყვარული მუშები უსაქმოდ დარჩნენ. შევცქეროდით ინტელიგენციას, მაგრამ ისიც ვერაფერს აკეთებდა. ამ ოც ინტელიგენტში მხოლოდ ორი-სამი და დარჩა, დანარჩენები როგორც შეიკრიბნენ ისევე დაიშალნენ. რაკი წარმოდგენები აღარ იდგმებოდა, ჩვენ მუშების ამხანაგობასაც ნელ-ნელა რიცხვი დააკლდა. ვასო ჯანიაშვილი—თევდორაშვილი ჯერ ისევ 1895 წ. 13 ენკენისთვეს ჩამოშორდა თეატრს (რადგანაც განჯაში გადაიყვანეს), ამხანაგობაში დარჩნენ მხოლოდ ის. ძნელაშვილი, იოსებ იმედაშვილი - ხაშმელი, მ. თუშმელიშვილი, დათიკო შველიძე, ივანე ინასარიძე და ვასო რაკვიაშვილი.

რაკი აქ არაფერს ვაკეთებდით, მოვინდომეთ ჩვენი მოქმედება პროვინციაში გადაგვეტანა. ამხანაგობაში შევიტანე წინადადება მცხეთაში წარმოდგენების გამართვის შესახებ. ამხანაგობა სიამოვნებით დამთანხმდა და მე და ი. ძნელაშვილიც ამოგვირჩია საქმის მოსაწყობლად. აქედან სარეკამენდაციო წერილი გაგვატანეს ეკ. წულუკიძემა და ს. ციციშვილმა იქაურ მასწავლებელ ქალებთან (ს. ციციშვილისა და მახათაძესთან). იმათ დიდი სიამოვნებით მიგვიღეს და მოეწონათ კიდეც ჩვენი მიზანი, რაც უთხარით წარმოდგენის შემოსავალი მცხეთის სამკითხველოს გადაეცემა. სცენა მოვამზადეთ მცხეთის სასოფლო კანცელარიაში და 1895 წ. კვირაცხოვლის კვირას გავმართეთ ქართული წარმოდგენა იოს. იმედაშვილი—ხაშმელის რეჟისორობით. წარმოდგენილ იქმნა „პეპო". ამ პიესაში მონაწილეობდნენ ქ-ნი: ს. ციციშვილის ასული—შუშანა, ნინო ნაკაშიძე - ეფემია. ბ. იოსებ იმედაშვილი - ზიმზიმოვი, კ. ჯაბაური—პეპო, დ. შველიძე — კაკოლა, ის. ძნელაშვილი — გიქო, ივ. ინასარიძე—სამსონა, ილიკო ნაკაშიძე, ახლანდელი ლექტორი გიგოლა და სუფლიორად—მიშა თუშმალიშვილი. ჩვენი მოთამაშე ქალები და რეჟისორი იქაურმა მასწავლებელმა ქალებმა სცენაზე ყვავილებით დააჯილდოვეს. ხარჯის გარდა დარჩა 22 მან. და რაღაცა კაპეიკები. გარდა იმისა იოსებ იმედაშვილმა—ხაშმელმა იქაურ სამკითხველოს რამდენიმე წიგნი შესწირა და მეორე დღეს ქალაქს დავბრუნდით.

**გიორგი ჯაბაური**

(შემდეგი იქნება)

# ქართული სახიობა

**სახალხო სახლში** 17 აპრ. წარმოდგენილმა „ახალმა ძალა"-მ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ სახ. წარმ. მმართ. წრეს საუკეთესო, ნიჭიერნი ძალნი ჰყავს, მხოლოდ თუ წარმოდგენის შთაბეჭდილება მთლიანი არ არის, ეს ზოგიერთ იმ „სცენის მოყვარეთა" (სწორედ—არა მოყვარეთა) ბრალია, რომელნიც არც პიესის სულს უკვირდებიან, არც დიქციას იმუშავებენ, არც პლასტიკას, არც სახის მეტყველებას, არც გრიმს... ხსენებულ პიესაში ელ. ციმაკურიძე (შტიერი), ტანელი (ტერეზია), მ. ჭიაურელი (ფრანცი), ი. მინდიაშვილი (შოპფი, ივერელი (კრაუს) და ა. მეტრეველი (ანტონ), ტიპიურნი იყვნენ, ნაკისრ როლებს შეგნებით ახასიათებდენ. კახელი (აანა), თ. ყიფშიძე (ლუიზა), ვ. ნინიძე (მაცი) შესაფერისნი,—სჯობდა კი კახელს ბაგენი საექვოდ არ გაეწითლებინა. ძველ სცენის მოყვარეთ რ. სალაყაიასა (შუსტერ), დ. ბაქრაძეს (ბაუსბარტი) და გ. გელიკურაშვილს (ბრანკმან) უფრომეტი მოეთხოვებათ, ისინი-კი, როგორც სჩანს. მხატვრულ მხარეს ყურადღებას არ აქცევენ. მსახიობმა ალ. იმედაშვილმა, როგორც ყოველთვის, ამ ღამესაც დიდის დაკვირვებით და მხატვრულ-მთლიანობით განასახიერა ნაკისრი როლი (ლუკა). დამსწრენი მას ტაშით შეეგებნენ და ვაშათი დააჯილდოვეს. ხალხი საშუალოდ დაესწრო.

**უსავანო**

**მსახიობთა ამხანაგობა** მ. ქორელის რეჟისორობით სახალხო სახლში უცხო ქვეყნებში ბეჯითად გვამოგზაურებს: ძველი საბერძნეთი, რომი, საფრანგეთი და... თითქმის ფარსამდე, ხოლო ჩვენის ქვეყნის გულში ჩაგვახედებს თუ არა,—ჯერ არა სჩანს. 21 აპრ. გვაჩვენეს ბარონ „ნაპოლეონ და ჟოზეფინა", ცოტა არ იყოს ფარდალალა, შიგა და შიგ გადამლაშებული პიესა. ეს წარმოდგენა იმითი იყო საყურადღებო, რომ გვიჩვენა მსახიობ ალ. იმედაშვილის უტყუარ ბუნებრივ ნიჭთან ერთად, დაკვირვება-განცდის უნარი და ცოდნაც; ამის ნათელმყოფელია მის მიერ განსახიერებული ნაპოლეონი. შიგა და შიგ ხომ ზედმეტაც იყო. ტასო აბაშიძე (ჟოზეფინა) დიადაც რომ ღირსეულად უჭერდა მხარს ა. იმედაშვილს. ქალი—მბრძანებელი, ქალი—მონა-მორჩილი, ერთი მეორის წინააღმდეგი ხასიათი ცხოვლად დახატა. საუცხოვო იყო მ. ჭიაურელი თავის გამოთქმით, მიმოხვრით, სახის მეტყველებით. ამ ახალგაზრდას დიდი მომავალი აქვს თუ იმუშავა. კარგები იყვნენ მ. სარაული (მუსტაში) პ. კორიშელი (პოლკოვნიკი) და ა. მოთაძე (ეჟენი) ან. ქიქოძე და ს. ბეჟანიშვილი ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

ნუ თუ სარკედ მუდამ გათხუპნულ ტილოს აგვიყუდებენ კედელზე?—ხალხი ბლომად დაესწრო.

**წინამძღვარი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბაქოში „აკაკის საღამო“** გაიმართა შაბათს, 11 აპრ. სომ. კაცთ.-მოყვ. საზოგადოების დარბაზში ქართ. სამხ.-სალიტერატურო წრის თაოსნობით. მონაწილეობის მისაღებად საგანგებოდ მოწვეული იყვნენ: მგოსანი ვ. რუხაძე და ლექტორი პ. გელეიშვილი რაღაც მიზეზების გამო, პ. გელეიშვილი „საღამოს“ არ დაესწრო.

პირველ განყოფილებაში მოხსენებანი წაიკითხეს ბ. ბ. ალფ. ცისკარიძემ და ალ. ლანდიამ, რომელთაც მოკლედ, გაკვრით დაახასიათეს საყვარელი მგოსანი, და განმარტეს აკაკის „საღამოების“ მნიშვნელობა საზოგადოდ და კერძოდ ბაქოში. ამის შემდეგ სცენაზე გამოვიდა ახალგაზრდა მგოსანი ვ. რუხაძე და საკუთარ ლექსით მიჰმართა ცოცხალი ყვავილებით მორთულ აკაკის დიდ სურათს.

მეორეში—ნიჭიერ სცენის მოყვარის ევტ.. თალაკვაძის მიერ დადგმულ იქნა „პატარა კახის“ 2—3 მოქ. კახის როლს ბ. ევ. თალაკვაძე ასრულებდა. (როლის უცოდინარობა დიდათ უშლიდა ხელს!). ბ. ბ. ინაური (მწყემსი), ვ. ჯიქია (გივი), სუფსისპირელი (გელა) და გოგიბერიძე (რევაზ) წლეულს პირველად ვნახე სცენაზე.—შესაფერისნი იყვნენ. მასიური სცენა ცოტა მოიკოჭლებდა. კარგი იყო სიმღერები გლეხებისა. საერთოდ პიესამ ცოცხლად ჩაიარა.

მესამეში—დივერტისმენტში მონაწილეობა მიიღეს ვ. რუხაძეს გარდა—და აკაკის მიმართ ლექსები წაიკითხეს ბ. ბ ს. მწუხრიშვილმა, სან. გურულმა და ცეცხლაძემ. პროგრამის გარეშე იმღერეს რუსულად, როიალის აკომპანიმენტზე ქ—ნმა ხალესნაიამ და ბ—ნ ბრავინმა. უკანასკნელმა გამოსვლისას საზოგადოებას აკაკის შესახები სიტყვით მიმართა. დივერტისმენტში ბოლოს გამოვიდა ვ. რუხაძე, წაიკითხა საკუთარი ლექსები ჩინებულის დეკლამაციით. დამსწრეებმა მას რამდენჯერმე წააკითხეს სხვა და სხვა ლექსი და მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს

მეოთხეში—ბ. ს. ქოსაშვილმა დასდგა ცოცხალი სურათები. მაღლობზე იდგა აკაკის პოზაში გრიმით ცოცხალი სურათი. მის მარჯვნივ ჩამწკრივებულნი იყვნენ გლეხურ ტანსაცმელსა, ქულაჯებსა და ჩაქურებში გამოწყობილნი, მარცხნით მუშების ტანსაცმელში. მათ წინ ქალი დროშით ხელში. აკაკის გვერდით ედგა მეორე ქალი მომართულ ქნარით ხელში და ყველა ესენი მიმართულნი იყვნენ აკაკისაკენ. მოისმოდა შორეული ტკბილი და საამო გუგუნი. გუგუნებდნენ გლეხები... ცოცხალი სურათები რიგიანი გამოდგა, რამდენადაც ამას ხელს უწყობდა სცენა და სინათლე.

„საღამოს“ ნაკლიც ჰქონდა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ აუარებელ ხელის შემშლელ პირობათ, რაც ამ „საღამოს ვამართავს გადახდა თავს, დავრწმუნდებით, რომ საღამომ მოლოდინს გადააჭარბა: ბაქოს დემოკრატიამ მოისურვა თავისი ღირსეული მგოსნის საპატივცემლო „საღამოს“ გამართვა, და კიდეც შესძლო. რა ვუყოთ, თუ „საღამო“ სავსებით მხატვრული და უნაკლულო ვერ ვამოდგა—ვერ გამოდგა ისეთი, რომელმაც უმწვერვალესად გემოვნება გარჩვითარებულნი ვერ დააკმაყოფილა.

„საღამოს“ დიდძალი ხალხი დაესწრო. მთელ აუდიტორიას შეადგენდა ბაქოს დემოკრატია, „მაღალი“ წრე არა სჩანდა. **გულისაბა**

**ბალაჯარაში „აკაკის საღამო“** გაიმართა 12 აპრ. მოხსენება წაიკითხა ბ—ნმა ალფეს ცისკარიძემ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა აკაკის „რეპეტიცია“. დივერტისმენტში მონაწილეობა მიიღო მგოსანმა ვ. რუხაძემ, რომელსაც ოვაციები გაუმართეს. აკაკის მისამართი ლექსები წაიკითხეს ბ. ბ. ს. მწუხრიშვილმა, სან. გურულმა, ცეცხლაძემ, კოპლატაძემ და სხვ. ხალხი ბევრი დაესწრო და კმაყოფილი დაიშალა ღამის 12 საათზე. **მაყურებელი**

**შალვა დადიანის ბენეფისი** ბაქოში გაიმართა 12 აპრ. დაიდგა „სახელმწიფო სადგომი“. პიესამ კარგად ჩაიარა.

ღირსეულ მობენეფისეს ხალხი მხიარულად შეეგება და ოვაციები გაუმართა, მიართვეს საჩუქრები ფულად და ნივთებით. საჩუქარი მიუვიდა, სხვათაშორის, ქართულ სამხ.-სალიტერატურო წრისაგანაც: სერვიზი ზედ წარწერით „შ. დადიანს ნიშნად პატივისცემისა ქ. სამხ.-სალიტ. წრისაგან“.—ბენეფისს ხალხი ბლომად დაესწრო. **გულბა**

**დ. ხაშურში** ხუთშაბათს, 6 აპრ. ხაშურის ქართ. დრამ. წრემ გამართა მეტათ შინაარსიანი და ფართო პროგრამიანი აკაკის საღამო. ალექსანდრე მდივანმა ფარდის ახდისას წაიკითხა მოკლე შინაარსიანი ლექცია: „აკაკის პოეზია“. სცენის მოყვარეთა და სხვა და სხვა სასწავლებლის მოსწავლეთ აკაკის ყვავილებით შემკობილ სურათის წინაშე მგოსნის ლექსები წარმოსთქვეს. საკონცერტო განყოფილებაში ბ. ვ. ხოზბერაშვილის ლოტბარობით ქალთა და ვაჟთა გუნდმა შეასრულა სხვა და სხვა სიმღერეები. ბოლოს ითამაშეს აკაკის 1 მოქ. ვოდ. „ბუტიაობა“, რომელიც კარგად ჩაატარეს და საზოგადოებაც დიდათ კმაყოფილი დაიშალა ღამის 1 საათზე. წმინდა შემოსავალი 50 მ. და წინად მოგროვილი ფული აკაკის ფონდს გადაეცემა.

**დ. სურამში** ოთხშაბათს, 18 აპრ. ქ. ქ. ტყემალაძისა და კორძაიას თაოსნობით გაიმართა აკაკის საღამო. დასაწყისში ბ ბ. ალ, მდივანმა და კონსტ. გაგუამ წაიკითხეს ორი ლექცია აკაკის პოეზიის შესახებ, ბავშვებმა წაიკითხეს აკაკის ლექსები. სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს აკაკის 1 მოქ. კომედია „ბუტიაობა“ რომელმაც კარგად ჩაიარა, წმინდა შემოსავალი გადაეცემა აკაკის ფონდს. **ნიკო გურული**

**დუშეთში** კვირას, 12 აპრ. საზოგადოების დარბაზში ქართულ სცენის მოყვარეთა წრის მიერ, ძველის სცენის მოყვარის ლ. ხანდოელის მონაწილეობით და რეჟისორობით, წარმოდგენილ იქმნა ისტო-

რიული დრამა „და-ძმა“ ვ. გუნიასი. უმთავრესი როლების აღმსრულებელნი იყვნენ: ქ. ა. ბერიაშვილი—გაიოზი, გ. მაისურაძე —ოტია, ლ. ხანდოელი—ფაიად-ფაშა, ქ-ნი ვ. სიდამონიძე—მარინე და სხ.... ა. ბერიაშვილი (გაიოზი) მშვენიერი იყო თავისი ცოცხალი თამაშითა, მაგრამ ემჯობინებოდა, ძრიელ არ აღელვებულიყო. გ. მაისურაძე (ოტია) უფრო კარგი იქნებოდა, უგრიმოთ არ გამოსულიყო. სახის გამომეტყველება არ უვარგოდა. ხმა კი მძლავრი და რიხიანი ჰქონდა. ლ. ხანდოელმა (ფაიად-ფაშა) კიდევ დაგვატკბო დუშეთის სცენაზე თვისი ნიჭიერი, დაკვირვებული თამაშითა და დაგვანახვა, რომ მასში კიდევ არ გამქრალა სცენისადმი სიყვარული. ქ—ნ ვ. სიდამონიძეს (მარინე) და ს. ბერიაშვილს (გადია), რომ როლები შეეცვალათ, უფრო თავთავის ადგილას იქნებოდნენ. დ. კობიაშვილი (ადამია) უნაკლო იყო. ი. ოსიტაშვილს (გიორგი) არა უშავდა რა, თავის ქერქში იყო; ს. კობაიძეს (ყარაოღლი) ეტყობოდა, რომ პირველად გამოდიოდა სცენაზე. სხვა დანარჩენნიც თავთავის ადგილას იყვნენ და ანსაბლს ხელს უწყობდნენ. ხალხი ბლომად დაესწრო. დაესწრო აგრედვე ჩვენი მგოსანი ვაჟაფშაველა. წრეს განზრახული აქვს კიდევ გამართოს წარმოდგენა და მთელი შემოსავალი დარბეულ აჭარლებს გამოუგზავნოს. კარგი იქნებოდა, ერთსა და იმავე პიესას ორჯერა სდგამდნენ. პირველად აწეულ ფასებში და მეორედ დაბალ ფასებში, რათა მდაბიო ხალხსაც შეძლება მიეცეს წარმოდგენაზე დასწრებისა

**კანრაძე**

# წვრილი ამბები

**მწერალ-მასწავლებლის ნიკო ლომოურის** გარდაცვალების გამო გასულ კვირას ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ანტონ ეპისკოპოსისა და ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით. პანაშვიდის დაწყებამდე დეკ. ცინცაძემ შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა.

**ნიკო ლომოურის** ცხედარს დღეს დაკრძალვენ გორში. დასაფლავებაზე დასასწრებლად თბილისიდან და საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდანაც აპირებენ ჩასვლას.

**კოტე მესხის ხსოვნის** პატივსაცემლად მისი გარდაცვალების წლის თავზე, 17 მაისს, გაიმართება ფრიად საყურადღებო დილა, ცნობილ ლექტორთა, მსახიობთა მწერალთა, მოქანდაკე-მხატვართა და ჩვენ რეჟისორთა, მონაწილეობით. შემოსავალი გადიდება კ. მესხის ძეგლისა და ოჯახობის სასარგებლოდ. სასურველია ა'ეთი დილა ქუთაისსა და სხვა ქალაქებშიაც მოაწყონ ამავე მიზნით.

**ქართველ მსახ. ამხანაგობა** სამშაბათს სახალხო სახლში წარმოადგენს „ვიდრე ხვალ“-ს.

**ხაშურის ქართ. დრამ. წრე** წარმოსადგენად ამზადებს ირეთლის „დამარცხებულნი“-სა და დ. ერისთავის „სამშობლო“-ს.

**ნინო ჩხეიძე და რეჟისორი მ. ქორელი** ხაშურს ეწვივნენ საგასტროლოდ. პირველი წარმოდგენა გამართეს შაბათს, მეორეს დღეს მართავენ.

**დ. ბორჯომში** უკვე შესდგა სცენის მოყვარეთა ჯგუფი და სისტემატიურ მუშაობას შეუდგა.

**სახალხო სახლის** ქართ. სახ. წარმოდგენების მმართველი სექციის თაოსნობით და ხარჯით სახალხო სახლში 19 აპრ. ჩამოჰკიდეს აკაკის საუცხოვო სურათი. სურათი იმდენად დიდებულია, რომ დანარჩენ სურათებს ჩრდილავს და საყოველთაო ყურადღებას იქცევს.

**დრამატურგის ნ. შიუკაშვილის** დრამატიული თხზულებანი ამ მოკლე ხანში ცალკე წიგნად დაიბეჭდება. წიგნში მოთავსებული იქნება ცხრა პიესა (შვიდი უკვე ცნობილი, ორი ახალი). წიგნი იქნება მოზრდილი ტანისა, 500 გვ. მეტი.

**სართიჭალის სცენის მოყვარეთ** განუზრახავთ ამ მოკლე ხანში წარმოდგენა გამართონ საქველმოქმედო მიზნით.

**აშუღების დასტა ჰაზირას თაოსნობით** კონცერტს გამართავს არტისტ. საზ. საკონცერტო დარბაზში 3 მაისს.

**ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით** გუმბრსა და ყარსში 25–17 მაისს კონცერტები გაიმართება.

**მგოსან ვაჟაფშაველას** დილა გაიმართება ამ მოკლე ხანში.

**„ახალი კლუბის“** მამასახლისთა თავმჯდომარედ აირჩიეს თ მ. დ. ჭავჭავაძე, მის ამხანაგად გ. ე ბაგრატიონ-მუხრანელი, ხაზინადრად—ა. გ. სარაჯიშვილი, მდივნად—გ. ვ. სარაჯიშვილი, სამუსიკო-სამხატვრო ნაწილთა ხელმძღვანელად ზ. პ. ფალიაშვილი და ა. გ. სარაჯიშვილი.

**ხარფუხის კლუბის** მამასახლისთა საბჭოში არჩეულ იქმნა რვა ქართველი, სამი თათარი.

**აჭარელთა სასარგებლოდ** ხარფუხის კლუბმა გადასდო 200 მან.

**თ. ი. შალიაპინის** კონცერტი განზრახულია 17 მაისისთვის.

**ახალგაზრდა პოეტის** ი. მჭედლიშვილის ახალი პოემა „ანგელოსთა აჯანყება“ წაკითხულ იქმნა (სოსო ივანიძის მიერ) კვირას, 19 აპრ. „ახ. კლ.“ დარბაზში, დრამ. საზ. თაოსნობით. შემდეგ პოემის შესახებ ილაპარაკეს დ. კასრაძემ, ს. დადიანმა და ს. გორგაძემ.

**ჩვენი თანამემამულე ილიკო ქურხული** საუკეთესო მუსიკის მდაბიოთა შორის გავრცელებაში წინ მიიწევს. ერთხელვე გულში ამოჭრილ იმ აზრს, რომ მსოფლიო კომპოზიტორთა ნაწარმოებთ მდაბიო ხალხიც აზიაროს, უფრო და უფრო მხნედ მისდევს. სატახტო ქალ. გაზეთები მისს ასეთ თავგამოდებას დიდათ აქებენ და მოგვითხრობენ, რა თავდავიწყებით უსმენენ „მოტანტალე მუსიკოსის“ მიერ ეზოებში გამართულ კონცერტებს.

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА на 1915 годъ. на журналъ

# ТЕАТРЪ И ИСКУССТВО

**52 №№** еженедѣльнаго иллюстриров. журнала (свыше 1000 иллюстр.)

**12** ежемѣсячныхъ книгъ „Библіотеки Театра и Искусства" въ которыхъ будутъ помѣщены беллетристика, научно-популярныя, критическія статьи и т. д., около

**40** новыхъ репертуарныхъ пьесъ.

**„ЭСТРАДА"** сборникъ стихот. разсказ. монолог., и. т. п. съ особой нумер. стран.

Въ 1915 г. „Библіотекѣ" будутъ помѣщены, между прочимъ, слѣдующія пьесы: „Осеннія скрипки", И. Сургучева, „Начало карьеры" В. Рышкова, „Уходящіе боги", П. П. Гнѣдича, „Пѣвецъ своей печали" — О. Дымова, „Пигмаліонъ" — Б. Шоу, „Домъ" В. Тардова, „Дѣти грѣха" В. Евдокимова „Невѣсты" С. Юшкевича, „Лейтенантъ Фон-Пляшке" А. Куприна и др.

---

**Подписная цѣна на годъ 8 р.** допускается разсрочка: 3 р. при подпискѣ, 3 р. 1 апрѣля, и 2 р.—1 іюня Заграницу **12 р.** на полгода **4 р. 50 к.** (съ 1 января по 30-ое іюня). Заграницу 7 р.

Иногородніе, желающіе ознакомиться съ журналомъ, получаютъ за семикопѣечную марку текущій № безплатно.

Главная контора **ПЕТРОГРАДЪ**, Вознесенскій пр. № 4. Тел. 16 69

---

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1915 Г.

на еженедѣльный богато-иллюстрированный журналъ

VII г. изд. **„РАМПА и ЖИЗНЬ"** VII г. изд.

Подъ редакціей Г. Мунштейна (Lolo)

Театръ — Музыка — Литература. — Живопись — Скульптура.

Подпис. цѣна: годъ 6 р. 50 к., $1/2$ г. 3 р. 50 к., 3 мѣс. 1 р. За гран. вдвое 75 к., 1 мѣс. 60 к. Допускается разсрочка. ▣ Объявлен. впереди т е к с т а, 75 к. строка петита, позади текста 50 коп.

---

**Безплатная премія для годовыхъ подписчиковъ:**

## Галлерея сценическихъ дѣятелей

роскошно-иллюстрированное изданіе

**1900—1915 гг. Томъ 1-ый (въ двухъ частяхъ)**

СОДЕРЖАНІЕ 1-го ТОМА:

Монографіи, характеристики и біографіи сценическихъ дѣятелей драмы, оперы и балета. Статьи, очерки, воспоминанія, стихи: Александра Амфитеатрова, Юрія Бѣляева, Н. Н. Вильде, Евг. Гунста, В. М. Дорошевича, Александра Койранскаго, С. Кара-Мурза, Як. Львова, Lolo И. Пеняева, кн. А. И. Сумбатова, Ю. Соболева, Н. Е. Эфроса, М. Юрьева, Сергѣя Яблоновскаго. Снимки въ жизни и роляхъ, зарисовки, Шаржи и проч. Репродукціи рѣдкихъ портретовъ и фотографій изъ музеевъ А. А. Бахрушина и В. В. Протопопова. Коллекціи Н. А. Попова

**52** большихъ портрета (на обложкѣ) артистовъ, писателей, композиторовъ и художниковъ, болѣе 2000 снимковъ, зарисовокъ, шаржей, карикатуръ и пр. Собственные корреспонденты во всѣхъ западноевропейскихъ театр. центрахъ **52**

**ОТКРЫТА ПОДПИСКА на весенній и лѣтній сезоны съ 1-го марта по 1-го сентября — 3 р. 50 коп., съ преміей — 5 руб.**

АДРЕСЪ: Москва, Богословскій пер. (уг. Б. Дмитровки), д. I. Тел. 2-58-25 ▣ Контора открыта ежедневно, кромѣ праздничныхъ дней, отъ 11—4 часовъ дня. ▣ Подписка принимается: также въ Москвѣ у Н. И. Печковской (Петровскія линіи), въ книжн маг.: „Новое время" (въ Петрог., Москвѣ и пров. гор.), въ муз. маг. В. Бесель и Ко (Москва, Петровка, 12), М. О. Вольфъ (Москва—Петроградъ) Л. Идзиковскій (Кіевъ) и во всѣхъ книжн. магаз. г. Москвы и провинціи. Можно подписываться по тел. 2-58-25.




## ნომრები „ავრორა“

**ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით** ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზეარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (წ)

ზ. ჭიჭინაძის

## აჭარის შესახები წიგნები

1. **ოსმალეთის ყოფილი საქართველო** ფ. 50 კ.
2. **მუჰაჯირი ანუ დიდი გადასახლება ქართველ მაჰმადიანთა** ფ. 50 კ.
3. **ქართველ მაჰმადიანთა სოფლები საქართველოში** ფ. 60 კ.

ისყიდება „განთიადი“-ს კანტორაში გ. მ. მახარაძესთან (მიხეილის პრ. № 18) ფოსტით მისამართი: Тифлисъ. 2-я Тумановская, № 32 Зах. Чичинадзе — **ვინც ავტორისაგან — ზ. ჭიჭინაძისაგან — გაიწერს გასაგზავნი ფასი არ გადახდება.** (5—5)

**პირველი მარტიდან წლის დამლევამდე**

**ჟურნალი ჰღირს 4 მ.**

ჟურნალი

## „თეატრ და ცხოვრება“

გასასყიდათ თბილისსა და პროვინციაში გადაეცა ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელ კანტორას

## „განთიადი“-ს

**გიორგი მაქ. ახარაძეს**

მიხეილის პროსპექტი, № 18 ფოსტის ყუთი № 21. ყველა გამყიდველთ თბილისისა და პროვინციისასა მას უნდა მიმართონ.

# РУССКАЯ ИЛЛЮСТРАЦІЯ

**Еженедѣльный иллюстрированный журналъ**

Изданіе **Т-ва И. Н. Кушнеревъ** и **К°, Москва**

**Подписная цѣна:** на годъ 6 руб. на полгода 3 р. 50 коп. на 3 мѣсяца 1 р. 80 к., на 1 мѣс. 65 к. **Подписной годъ считается съ 1 февраля**

**Подписка принимается:** въ МОСКВѢ: Пименовская, 16 и Николаевская 8; въ ПЕТРОГРАДѢ: Фонтанка, 117; въ КІЕВѢ: Караваевская, 5.

**Редакція** и **контора: Москва,** Пименовская, 16, телеф. 3-71-63.

Типографія „Сорапань“ სტამბა „სორაპანი“